შპს „კარიატიდა“

მის: ქ. თბილისი. კოსტავას ქ. №71

ტელ.: (+995) 591 99 00 11

ს/კ: 405274251

ინსპექტირების ანგარიშის №A-016/25. 26.06.2025

გაცემის თარიღი: 28.06.2025

ინსპექტირების თარიღი: 26.06-09.07.2025

ინპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის

გამზ. №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2)

შენობის დაშლის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის გამოკვლევა

გამტკიცებ,

დირექტორი_____

ზ. გუბელიძე

ინსპექტირების ანგარიში

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „სალი“ 208183534
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი: №B-016/24.06.25-b016 ხელშეკრულება №A-016/25. 26.06.2025
ინსპექტირების სფერო:	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის დაშლის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის გამოკვლევა

თბილისი
2025 წელი

სარჩევი

1 ინსპექტირების შემსრულებლები ---------- 3

2 ინსპექირებისათვის წარმოდგენილი მასალები ---------- 4

3 გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები ---------- 4

4 გამოყენებული ხელსაწყოები ---------- 5

5 კვლევითი ნაწილი ---------- 6

6 დასკვნა ---------- 24

1. ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორ(ებ)ი: დ. ღონღაძე _____

2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები

- ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) სადემონტაჟო შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შედეგები, შემსრულებელი ინჟინერ-გეოლოგ(ებ)ი გ. იაშვილი;
- საექსპერტო დასკვნა [№IR-TR-3-01/25] - ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) სადემონტაჟო შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის შედეგები;
- ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი ი. გამყრელიძე;

3 გამოყენებული ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტები

1. სამშენებლო ნორმები და წესები (პნ. 01.01-09) „სეისმომედეგი მშენებლობა“;
2. სამშენებლო ნორმები და წესები (პნ 03.01-09) „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“;
3. სამშენებლო ნორმები და წესები პნ. 02.01-08 „შენობების და ნაგებობის ფუძეები“;
4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. <<კ.ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი>>, თბილისი 1992წ.;
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, 2019 წლის 31 მაისი, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

6. ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრხოების წესებისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 23.07.2015წ;
7. Пособие по обследованию строительных конструкции здании. АО <<ЦНИИПРОМЗДАНИИ>>, Москва 1997.;
8. Снип 1.02.07-87 „Инженерные изискания для строительства“, Москва 1987г.;
9. ГОСТ 31937-2011 „Здания и сооружения. Правила обследования и мониторинга технического состояния“, Москва 2014г;
10. Пособие по проектированию каменных и армокамненных конструкций (к СниП II-22-81), ЦНИИСК им Кучеренко Госстроя СССР; Москва, 1987 г.;
11. СНиП 3.02.01-87 Земляные сооружения, основания и фундаменты, Москва,1988 г;
12. СНиП 12-03-2001 безопасность труда в строительстве чясть 1. Общие требования
13. СНиП 11-22-81 „КАМЕННЫЕ И АРМОКАМЕННЫЕ КОНСТРУКЦИИ“;
14. СНиП III-4-80* Техника безопасности в строительстве, Москва,1981 г.;
15. СП 48.13330.2011 Организация строительства, Москва, 2011 г.;
16. СТО НОСТРОЙ 2.33.14-2011 „Организация строительного производства“. Москва,2011 г.
17. СТО НОСТРОЙ 2.33.53-2011 „Организация строительного производства. Снос (демонтаж) здании и сооружений“, Москва, 2012 г.;
18. СП 325,1325800ю 20017 „Здания и сооружуния. Правила производства работ при демонтаже и утилизаций “, Москва, 2017 г.

4. გამოყენებული ხელსაწყოები

1. Nikon D3100 ციფრული ფოტოაპარატი – ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია;
2. ლაზერული მანძილმზომი.

5. კვლევითი ნაწილი

ინსპექტირების მიზანია:

- ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის მიმდებარე ნაგებობების გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
- ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის დაშლის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის გამოკვლევა;
- ინსპექტირების ანგარიშის და საექსპერტო დასკვნის მომზადება.

5.1 ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ის (ს/კ 01.17.01.122.008) მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.122.008) განთავსებულია რამოდენიმე შენობა. მათგან ხდება 03(2) შენობა-ნაგებობების სრული დემონტაჟი (სურ. 1, 2, 3, 4, 5).

საქართველოს მთავრობის დადგენილება [6]-ის, თავი III, მუხლი 6, პუნქტი 9-ის მიხედვით შენობის დაშლის სამუშაოების წარმოების ზეგავლენის სახიფათო ზონის რადიუსი 10მ-ით შემოიფარგლება. ამიტომ დასაშლელი შენობის მეზობლად არსებული ნაგებობებიდან დემონტაჟის პროცესის ზეგავლენის სახიფათო ზონაში მოხვდა შემდეგი ნაგებობები:

შენობა №1 - წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №25-ში (ს.კ. 01.17.01.122.006) მდებარე საცხოვრებელი სახლი;

შენობა №2 - წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №25ა-ში (ს.კ. 01.17.01.122.021) მდებარე შენობა;

შენობა №3 - წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს.კ. 01.17.01.122.008) მდებარე სასტუმრო 01(3);

შენობა №4 - წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №18-20-22 / ნ. იზაშვილის ქ. №3-ში (ს.კ. 01.17.01.123.001)-ში მდებარე ნაგებობა.

წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ის (ს/კ 01.17.01.122.008) მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება შესრულდა სახელმძღვანელო და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად [1,2, 3, 4, 7, 9].

შენობა №1

შენობა №1 წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №25-ში (ს.კ. 01.17.01.122.006) მდებარეობს. იგი დანიშნულების მიხედვით სამსართულიან, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 6, 7). შენობა №1 დასაშლელ შენობას დასავლეთიდან ესაზღვრება. შენობა მთავარი ფასადით ქეთევან წამებულის გამზირზე გამოდის. სარეკონსტრუქციო შენობასა და ნაგებობა №1-ს შორის არსებული ეზო ქეთევან წამებულის გამზირის მხრიდან შემოსაზღვრულია აგურის წყობით შესრულებული ღობით. ღობეში მოწყობილ თაღოვან ღიობში ჩამონტაჟებულია ლითონის ჭიშკარი (სურ. 3). ღობე დაზიანებულია, მასზე ფიქსირდება რამოდენიმე გამჭოლი 45^0 - ით დახრილი ბზარი.

კონსტრუქციული თვალსაზრისით, აღნიშნული შენობა სამშენებლო, ქართული წითელი კერამიკული აგურის წყობით შესრულებული მზიდკედლიანი ნაგებობაა (სურ. 6, 7, 8). მზიდი კედლები აგურის I ტიპის წყობითაა შესრულებული, ყოველგვარი ჩანართებისა და გაძლიერებების გარეშე. წყობაში დუღაბად გამოყენებულია თიხამინერალებით გაჯერებული დუღაბი. ქართული აგურის ზომები 200×200×50 მმ-ია. იგი არ გამოირჩევა გეომეტრიული ზომებისა და ფორმის სტაბილურობით.

შენობა დაფუძნებულია ძირითად ქანზე, სუსტად გამოფიტულ ქვიშა-ქვებზე ლენტური საძირკვლების საშუალებით. ფუძე-გრუნტის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერბულ მდგომარეობაში $R_{c.n}$=153კგძ/სმ^2.

სართულშუა გადახურვების მზიდი ელემენტები ხის კოჭებით და ფიცრებითაა მოწყობილი. ფანჯრებისა და კარებების ღიობების ზღუდარები ხის კოჭებითაა

მოწყობილი, რომლებიც ზოგან შეცვლილია ლითონის ელემენტებით. შენობას აღმოსავლეთის კედლის ფასადზე მიშენებული აქვს მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელი კიბე (სურ. 7, 9). კიბის მზიდი კონსტრუქციები ლითონის ნაგლინი პროფილებითაა შესრულებული. კიბის კონსტრუქციები შეღებილია შავი ფერის საღებავით და მასზე კოროზიის ან სხვა რაიმე დაზიანების კვალი არ ფიქსირდება.

შენობის კედლები მობათქაშებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო ნალესი დაზიანებულია, დაბზარულია, გამობერილია და ბევრ უბანზე ჩამოშლილია, ფასადის კედლების აგურის წყობა გამორეცხილია (სურ. 6, 7, 8, 10). დაზიანებულია შენობის კარნიზები (სურ. 8).

შენობაზე აღმოსავლეთის ფასადის მხრიდან განხორციელებულია უსახური მიშენება. მიშენების მზიდი კონსტრუქციები ლითონის №16 ორტესებრი კოჭებით (ჰორიზონტალური ელემენტები) და ლითონის 150მმ მილებით მოწყობილი დგარებით არის შესრულებული (სურ. 11). ლითონის ორტესებრი კოჭები ერთი მხრიდან ეყრდნობა ლითონის დგარებს, მეორე მხრიდან ჩაშენებულია ფასადის აგურის კედლებში, რაც იწვევს მათში დამატებითი ძაბვებს. მიშენების კედლის შევსება შესრულებულია ბეტონის წვრილი სამშენებლო ბლოკების საშუალებით. მიშენების საახურავი ერთქანობიანია და იგი მოწყობვილია ხის ფიცრებით. მიშენების სახურავის ბურული შესრულებულია მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით.

მიშენება განხორციელებულია აგრეთვე შენობის სამხრეთ ფასადზეც (სურ. 7). მიშენება განხორციელებულია ძველად არსებული ღია აივნის ადგილზე, რომლის მზიდი კონსტრუქციების ნარჩენები მთლიანად არაა დემონტირებული (სურ. 12). მიშენების ძირითადი მზიდი კონსტრუქციები ლითონის ორტესებრი კოჭებით და ფოლადის მილების დგარებით არის შესრულებული. ფოლადის დგარები ძალიან მაღალია და შესაბამისად მათი მოქნილობა დაუშვებლად დიდია. ფოლადის მიშენების იატაკის ფილა ორტესებრ კოჭებს შორის ჩაწყობილი ერთმაგი არმირების (ქვედა შრე) რკინაბეტონის ფილას წარმოადგენს. აღნიშნული ფილა ერთი მხრიდან ეყრდნობა ლითონის დგარებს, მეორე მხრიდან ჩაშენებულია ფასადის აგურის

კედლებში (სურ. 12), რაც ასევე გამოიწვევს აღნიშნული კედლებში დამატებითი ძაბვებს. მიშენების კედლის შევსება შესრულებულია სტანდარტული კერამიკული აგურის წყობის საშუალებით (სურ. 7). მიშენების ლითონის კარკასის კვანძები შესრულებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევით. მიშენების კონსტრუქცია არამდგრადია.

შენობის კედლების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათზე ბზარები, დეფორმაციები, გადაადგილებები, რომლებიც გამოწვეულია საძირკვლების არათანაბარი ჯდომით არ ფიქსირდება. რაც მეტყველაბს საძირკვლებისა და ფუძის საკმარის მზიდუნარიანობაზე.

შენობის სახურავი ოთხქანობიანია. სახურავის მზიდი კონსტრუქცია (კოჭები, გრძივები, ნივნივები, ირიბნები, მაუერლატი, დგარები და ფიცარნაგი) შესრულებულია ხის მასალით. სახურავის ბურული თუნუქის ფურცლებითაა მოწყობილი. სახურავი ამჟამად შეკეთებულია და გარემონტებული. ახალი გარემონტებულია აგრეთვე სახურავის წყალსარინი სისტემა (სურ. 8).

ქეთევან წამებულის გამზ. №25-ში **მდგარი საცხოვრებელი სახლის (ს/კ 01.17.01.122.006) კედლებს არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონეზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც არ აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის** [1] **(პნ. 01.01.-09-„სეისმომედეგი მშენებლობა“), III თავის, 15 მუხლის, 7 პუნქტის მოთხოვნებს.**

შენობის ფასადის ზოგიერთი შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები იცვლება დიაპაზონში 45-90სმ (სურ. 6, 7) რაც არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1], **თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში, აგურის მზიდკედლებიან ნაგებობებში, შუაკედლისების მინიმალური სიგანე 116 სმ უნდა იყოს.**

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №25-ში (ს/კ 01.17.01.122.006) მდებარე შენობის კონსტრუქციული სქემა არ აკმაყოფილებს

რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1] მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციები არადამაკმაყოფილებელ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება III კატეგორიას.

შენობა №2

შენობა №2 წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №25ა-ში (ს.კ. 01.17.01.122.021) მდებარეობს (სურ. 13, 14). აღნიშნული შენობა სადემონტაჟო ნაგებობას სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება. შენობა №2 ოთხსართულიანია სარდაფით. შენობა ახალი აშენებულია კონსტრუქციული თვალსაზრისით იგი მონოლითური რკინაბეტონის კარკასს წარმოადგენს ხისტი კვანძებით. კედლის შევსება შესრულებულია წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკის წყობით. შენობა მოპირკეთებულია დახერხილი აგურით. სართულშუა გადახურვები მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის ფილებით. სახურავი მრავალ ქანობიანი. სახურავის საბურველი კრამიტით არის მოწყობილი (სურ. 13). სახურავის წყალსარინი სისტემა ახალი მოწყობილია და გამართულად მუშაობს.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად შენობის მზიდ კონსტრუქციებზე არავითარი ბზარები, დეფორმაციები და დეფექტები არ დაფიქსირდა.

აქედან გამომდინარე ქეთევან წამებულის გამზ. №25ა-ში (ს.კ. 01.17.01.122.021) მდგარი შენობის ვიზუალური გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ის (დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის MCK-64 შკალა) მიხედვით აღნიშნული ნაგებობის დაზიანებები I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანება).

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

შენობა №3 ქეთევან წამებულის გამზ. №27-ში (ს/კ 01.17.01.122.017) მდებარე შენობა სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო ნაგებობას სამხრეთიდან ესაზღვრება. შენობას გააჩნია სამი სართული $\nabla \pm 0.00$-ს ზევით და ერთი სართული $\nabla \pm 0.00$-ს ქვევით (სურ. 15).

შენობა მდებარეობს სარეკონსტრუქციო შენობასა და მტკვრის კალაპოტის მარცხენა მხარეს შორის. შენობა განთავსებულია სანაპიროს ციცაბო ფერდზე, რთულ რელიეფზე აბსოლუტური ნიშნულებს ∇419,43 ~ ∇421,25 შორის.

დანიშნულების მიხედვით ნაგებობა №3 სასტუმროს („მარგო“) წარმოადგენს.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ნაგებობას წარმოადგენს, ხისტი კვანძებით, რომელიც დაფუძნებულია ძირითად გრუნტზე, მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის საშუალებით. სართულშუა გადახურვები მონოლითური რკინაბეტონის რიგელებით და ფილებითაა მოწყობილი. პერიმეტრის კედლების შევსება წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკების წყობითაა შესრულებული.

შენობის ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №27-ში (ს/კ 01.17.01.122.017) მდებარე შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით გეგმარებითი გადაწყვეტა აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1, 2, 3] მოთხოვნებს.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად შენობის ფასადის კედლებზე არც ერთი მხრიდან (სურ. 15, 16) არ შეინიშნება რაიმე ტიპის დაზიანება და ბზარები. შენობის მობათქაშება არსად არ არის დაზიანებული და ჩამოცვენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ არც შენობის შიდა სივცეში არსებულ კედლებზე და სხვა მზიდ კონსტრუქციებზე ბზარები, დეფორმაციები, ან სხვა რაიმე დაზიანება არ ფიქსირდება.

შენობის სახურავის კონსტრუქციები ლითონის ელემენტებითაა შესრულებული. წყალსარინი სისტემა ახალი მოწყობილია და გამართულად მუშაობს.

აქედან გამომდინარე **ქეთევან წამებულის გამზ. №27-ში (ს/კ 01.17.01.122.017) მდგარი შენობის ვიზუალური გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ის (დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის MCK-64 შკალა) მიხედვით აღნიშნული ნაგებობის დაზიანებები I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანება).**

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

შენობა 4.

შენობა 4 წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №20-22 / ნ. იზაშვილის ქ. №3-ში (ს.კ. 01.17.01.123.001) მდებარე 10(2) და 11(2) ნაგებობებს წარმოადგენს. ისინი სადემონტაჟო შენობას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება.

ნაგებობა 10(2) წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირ №20-ში მდებარეობს. იგი დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 17). შენობას 11.10.2007წ.-დან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (სარეგისტრაციო №5000; პასპორტის №010502521). იგი აშენებულია XIX საუკუნის დასასრულს.

აღნიშნული ნაგებობა ორსართულიანია (სურ. 17, 18). იგი მთავარი ფასადით წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირზე გამოდის.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს. შენობის კედლები შესრულებულია სტანდარტული აგურის I ტიპის წყობით (სურ. 19). აგურის ზომები 250×120×65მმ-ია. წყობაში გამოყენებულია თიხა-მინერალებით გაჯერებული დუღაბი, რომელსაც სიმტკიცის ასამაღლებლად დამატებული აქვს მცირე რაოდენობით კირი.

შენობის ფასადის კედლები შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. მთავარი ფასადის კედლები რუსტული ტიპისაა (სურ. 17). შენობის დასავლეთ ფასადის კედლის ნალესობა წყალსარინი მილების გასწვრივ მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და ჩამოშლილი (სურ. 17, 19). ამ უბანზე ხდება აგურის წყობაში დუღაბის გამორეცხვა. წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო დაზიანებულია შენობის ლავგარდანი. ნალესი ზოგიერთ უბანზე დაზიანებულია და გამობერილია.

მთავარ ფასადზე, მეორე სართულზე შენობას გააჩნია კონსოლური აივანი (სურ. 18). აივანი მოწყობილია ხის მზიდი კონსტრუქციებით. ხისგანაა შესრულებული მოაჯირები და რიკულები.

შენობის კედლების დათვალიერების შედეგად მასზე დაფიქსირდა მცირე გახსნილობის გამჭოლი ბზარები. შენობა მოჭიმულია დასავლეთ ფასადის კედლის გასწვრივ ლითონის ჭიმებით (სურ. 17).

ქეთევან წამებულის გამზ. №20-ში **(ს/კ 01.17.01.123.001) მდგარი 10(2) საცხოვრებელი სახლის კედლებს არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონეზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც არ აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის [1] (პნ. 01.01.-09-„სეისმომედეგი მშენებლობა“), III თავის, 15 მუხლის, 7 პუნქტის მოთხოვნებს.**

შენობის ფასადის შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში,

აგურის მზიდკედლებიან ნაგებობებში, შუაკედლისების მინიმალური სიგანე 1160 მმ უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №20-ში (ს/კ 01.17.01.123.001) მდებარე 10(2) შენობის კონსტრუქციული სქემა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1] მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციები არადამაკმაყოფილებელ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება III კატეგორიას.

ნაგებობა 11(2) წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირ №22-ში მდებარეობს. იგი დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 20, 21). შენობას 11.10.2007წ.-დან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (სარეგისტრაციო №5001; პასპორტის №010502527). იგი აშენებულია XIX საუკუნის II ნახევარში.

აღნიშნული ნაგებობა ორსართულიანია (სურ. 20). იგი მთავარი ფასადით წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირზე გამოდის.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს. შენობის კედლები შესრულებულია ძველი ქართული აგურის I ტიპის წყობით (სურ. 22, 23). აგურის ზომები 190×190×50მმ-ია. აგური არ გამოირჩევა ზომებისა და ფორმის სტაბილურობით. წყობაში გამოყენებულია თიხა-მინერალებით გაჯერებული დუღაბი, რომელსაც სიმტკიცის ასამაღლებლად დამატებული აქვს მცირე რაოდენობით კირი.

შენობის ფასადის კედლები შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. მთავარი ფასადის კედლები რუსტული ტიპისაა (სურ. 21). შენობის ფასადის კედლების ნალესობა ძლიერ დაზიანებულია, მრავალ უბანზეა გამობერილი და ჩამნოშლილი

(სურ. 22, 23, 24, 25). ამ უბნებზე ხდება აგურის წყობაში დუღაბის გამორეცხვა. წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო დაზიანებულია შენობის ლავგარდანი (სურ. 26, 27).

მთავარ ფასადზე, მეორე სართულზე შენობას გააჩნია ორი კონსოლური აივანი (სურ. 21, 28, 29). აივანების კონსოლების მზიდი კონსტრუქცია მოწყობილია შველერების საშუალებით. მოაჯირები შესრულებულია ლითონის ცივად ნაჭედი დეკორატიული ელემენტებით.

ვიზუალური დათვალირების შედეგად დადგინდა, რომ შენობის მზიდი კედლები ძლიერ დაზიანებულია. კედლებზე შეიმჩნევა მრავალრიცხოვანი ბზარები და დეფორმაციები, რომლებიც საძირკვლების არათანაბარი ჯდომით არის გამოწვეული (სურ. 22, 23, 24, 25, 26, 27, 30). განსაკუთრებულად მნიშნელოვნადაა დაზიანებული შენობის აღმოსავლეთ ნაწილში შენობის კუთხე (სურ. 22). ამ უბანზე კედლები გახსნილია და გახლეჩილია საძირკვლებიდან სახურავამდე. ამ უბანზე შენობის ნაწილებს შორის კავშირი დარღვეულია. ბზარების გახსნის მაქსიმალური სიდიდე 60~80 მმ-ია. კედელი დეფორმირებულია, გამობერილია, გადახრილია ვერტიკალური სიბრტყიდან. დაწყებულია კედლის აგურის წყობის დაშლა. აღმოსავლეთ ფასადზე, შენობის კუთხეში კედლის ნაწილი ჩამოშლილია. შენობის აღნიშნული კუთხე მწვავედ ავარიულ მდგომარეობაშია.

ჩრდილოეთის მხრიდან შენობას გააჩნდა ღია აივნები, რომლებიც ამჟამად ამოშენებულია წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკის წყობით (სურ. 30). ამ უბანზე კედლების სისქე 200მმ-ია, **რაც არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნისათვის.**

ქეთევან წამებულის გამზ. №22-ში (ს/კ 01.17.01.123.001) მდგარი 11(2) საცხოვრებელი სახლის კედლებს არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონეზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც არ აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის [1] (პნ. 01.01.-09-„სეისმომედეგი მშენებლობა“), III თავის, 15 მუხლის, 7 პუნქტის მოთხოვნებს.

შენობის ფასადის შუაკედლისების სიგანის მნიშვნელობები არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [1], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში, აგურის მზიდკედლებიან ნაგებობებში, შუაკედლისების მინიმალური სიგანე 1160 მმ უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №22-ში (ს/კ 01.17.01.123.001) მდებარე 11(2) შენობის კონსტრუქციული სქემა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1] მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე ქეთევან წამებულის გამზ. №27-ში (ს/კ 01.17.01.122.017) მდგარი შენობის ვიზუალური გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ის (დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის MCK-64 შკალა) მიხედვით აღნიშნული ნაგებობის დაზიანებები IV ხარისხისაა (რღვევა).

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციები წინაავარიულ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება IV კატეგორიას.

5.2 ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის დემონტაჟის პროცესის ზეგავლენა მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.122.008) განთავსებულია რამოდენიმე შენობა. მათგან ხდება 03(2) შენობის სრული დემონტაჟი (სურ. 3, 5).

სადემონტაჟო შენობას გააჩნია ორი მიწისზედა სართული და ნაწილობრივი სადაფი. შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა აგურის მზიდკედლებიან ნაგებობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანართებისა და გაძლიერების გარეშე. მზიდი კედლები სტანდარტული კერამიკული აგურის I ტიპის წყობით არის შესრულებული. აგურის კედლები განლაგებულია, როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით.

სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარდა 2020 წლის მარტში შპს „გეო-ძიება 2013“-ის მიერ. გამოკვლევის მიზანი იყო შენობის დაფუძნების პირობების დადგენა. ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპოგეგმა 1:500 ზომსადარით, რომელზეც დატანილია შურფ-ბურღილების განლაგება და შესრულებულია მათი გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა (იხ. საინჟონრო-გეოლოგიური დასკვნის ანგარიში).

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, შვავი, კარსტი, ჩაქცევა და ა.შ.) არ აღინიშნება. შესაბამისად საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით ტერიტორია მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ნორმატიული დოკუმენტის [8]-ის მე-10 დანართის თანახმად, უბანი მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აგებული იქნა გამოსაკვლევი ტერიტორიის გამონამუშევრების სვეტების და უბნის ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილები

(იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა). უბნის ამგები გრუნტები შედგება ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტისაგან.

- I სგე - სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა (ფენა 2).

ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი (ფენა 1) სგე-დ არ განიხილება. მისი სიმძლავრე 0,4~0,7მ-ია.

სამშენებლო ნორმებისა და წესების [1] შესაბამისად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუქის მიხედვით, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას. ტერიტორიის ფუძე-გრუნტების სეისმური თვისებების გათვალისწინებით, სამშენებლო უბნის სეისმურობა განისაზღვრა 8 ბალით. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

ობიექტზე შურფების გაჭრის და საძირკვლების გაშიშვლების შედეგად დადგინდა, რომ გამოსაკვლევი შენობა დაფუძნებულია I სგე-ზე (ფენა 2) ლენტური საძირკვლებით. **ფუძე-გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობებია: სიმკვრივე ρ=1,8 გ/სმ³, დეფორმაციის მოდული E=50კგძ/სმ², სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=153კგძ/სმ², შინაგანი ხახუნის კუთხე φ =18⁰, ხვედრითი შეჭიდულობა C=0,1კგძ/სმ².** გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ფუძე-გრუნტი (**I სგე**) მიეკუთვნება არადარბილებადი გრუნტების კატეგორიას.

ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით ტერიტორია განეკუთვნება თბილისის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონს. თუმცა გამოკვლეულ სიღრმეზე არცერთ გამონამუშევარში წყალი არ დაფიქსირდა.

ობიექტზე შურფების გაჭრის და საძირკვლების გაშიშვლების შედეგად დადგინდა შენობის მზიდი კედლების საძირკვლების ტიპები, გეომეტრიული ფორმები, ზომები, მათი დაღრმავება და ფუძე-გრუნტი (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა). დადგინდა, რომ შენობა დაფუძნებულია ლენტური

ტიპის საძირკვლებით. ლენტური საძირკველი ფლეთილი ყორექვის წყობითაა შესრულებული. დუღაბად გამოყენებულია ქვიშა-კირის დუღაბი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ ხდება ორსართულიანი 03(2) შენობების სრული დემონტაჟი.

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი (დოპ) შედგენილია ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის, შენობების აზომვითი ნახაზების და სადემონტაჟო შენობების მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ საექსპერტო დასკვნის მასალების ანალიზის საფუძველზე, საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების და რეგლამენტების [14, 15, 16, 17, 18] მოთხოვნების დაცვით.

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის სრული დემონტაჟის პროცესის ზეგავლენისაგან მიმდებარე ნაგებობების დაცვის და უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით, სამუშაოები უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების და ტექნიკური რეგლამენტების [14, 15, 16] მოთხოვნების შესაბამისად.

დოპ-ში სწორადაა შერჩეული ისეთი მანქანა-მექანიზმები, დანადგარები და ხელსაწყოები რომელთა გამოყენება ზეგავლენას არ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე. ორგანიზაციის პროექტში განსაზღვრულია დემონტაჟის პროცესის სახიფათო ზონების საზღვრები. ნორმატიული დოკუმენტის [1]-ის დანართი Г-ს მიხედვით ამწით გადაადგილებული ტვირთის ჩამოვარდნის სავარაუდო ზონა 03(2) შენობისთვის არის 4მ. სახიფათო ზონების საზღვრებთან აუცილებლად უნდა მოეწყოს სასიგნალო ბარიერები. წარმოდგენილი ცხრილით (იხ. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი) სახიფათო ზონა აღებულია ჩამოვარდნის ზონის სავარაუდო ზომის მიხედვით ანუ 3,5 მ 03/2 შენობისთვის. ზონები უნდა იყოს მონიშნული უსაფრთხოების ნიშნებით და დადგენილი ფორმის წარწერებით. უცხო პირთა შესვლა ამ ზონაში დაუშვებელია და უნდა გამოირიცხოს. პროექტის მიხედვით ტერიტორია უნდა შემოიღობოს ფარებით.

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით, სათანადო ზედამხედველობით. მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი ხორციელდება ხელის ინსტრუმენტებით, მათი დაშლის გზით. იკრძალება კონსტრუქციების პირდაპირი მონგრევა. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება (ხის დროებითი დამჭერი კოჭებით და შეფიცვრებით). აუცილებელია მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი. საჭიროა მათი უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით. სიმაღლეებზე მუშების მოძრაობა-მუშაობის შემთხვევაში თითოეული მუშა უნდა იყოს დაბმული სპეც. დამჭერი თოკებით ვარდნის თავიდან აცილების მიზნით. ასევე ყველა ადამიანს უნდა აეკრძალოს კონსტრუქციების დემონტაჟის დროს მის ქვეშ ყოფნა ან გავლა.

დაუშვებელია სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება ერთდროულად ერთი ვერტიკალის რამდენიმე იარუსზე. აკრძალულია ადამიანთა ყოფნა იმ სართულის ქვედა ვერტიკალურ სიბრტყეში, რომელზეც მიმდინარეობს სადემონტაჟო სამუშაოები. ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე ერთ ვერტიკალზე სამუშაოთა შეთავსების შემთხვევაში, ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები დაცული უნდა იყოს სათანადო დამცავი საშუალებებით (ფენილი, ბადე, საფარი).

სადემონტაჟო სამუშაოები და სამშენებლო ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს სპეციალურად შერჩეული ტექნიკით, რომლებიც განაპირობებს დემონტაჟის პროცესის უსაფრთხოებას და მიმდებარე ნაგებობების უსაფრთხო ექსპლოატაციას. ნაგვის ტრანსპორტირების სვლა-გეზი უნდა შეთანხდეს ქალაქის საგზაო პატრულთან. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში უბანი უნდა იყოს შემოღობილი და ღამის საათებში განათებული.

დოპ-ში დემონტაჟის განხორციელების პროცესი იყოფა რიგებად – რიგები ეტაპებად:

I რიგი – დემონტაჟის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები;

II რიგი – დემონტაჟის განხორციელების ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელი სამუშაოების შესრულდებისათვის გამოყოფილია 1 თვე. ძირითადი სამუშაოების შესრულებისათვის გამოყოფილია 11 თვე.

ორგანიზაციის პროექტში სრულად არის ასახული მოსამზადებელი და ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოების სახეები, სწორადაა განსაზღვრული მათი განხორციელების თანმიმდევრობა (იხ. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი).

მუშაობის დაწყებამდე უნდა შესრულდეს შემდეგი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ღონისძიებები:

1. დაკომპლექტდეს ბრიგადა;
2. დაინიშნოს უსაფრთხოების ტექნიკური სამსახურის პასიუხისმგებელი ხელმძღვანელი;
3. უსაფრთხოების ტექნიკური სამსახურს და ბრიგადის წევრებს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი სამუშაოთა უსაფრთხო შესრულებისათვის და გაფორმდეს მისი რეგისტრაცია ჟურნალში;
4. გაფორმდეს დაშვება სამუშაოთა წარმოებაზე სახიფათო ფაქტორების მოქმედების ზონაში;
5. მომზადდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: დამცავი ნიღბები, სათვალეები, კომბინიზონები, ხელთათმანები, დამცავი ქამრები, ფეხსაცმელი, ხანძრის ჩასაქრობი საშუალებები;
6. სამუშაოზე დაიშვას 18 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელსაც აქვს სიმაღლეზე მუშაობის სამედიცინო ცნობა (იხ. დემონტაჟის ორგანიზაცის პროექტი).

უნდა მოეწყოს დროებითი დამხმარე ნაგებობა. დროებითი ელექტრომომარაგების, განათების და წყალმომარაგების მოწყობა ხდება არსებული ქსელების გამოყენებით. დოპის მიხედვით ხდება დროებითი სანიაღვრეს მოწყობა.

კოშკურა ამწე მოეწყობა ხდება შენობის სამხრეთით (ამწის განთავსების ადგილი იხილეთ ორგანიზაციის პროექტში სამშენებლო გენგეგმაზე და სპეციფიკაცია იხილეთ დანართში). 03(2) შენობის სრული დემონტაჟი მოხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 03/2 შენობის თუნუქის სახურავის მოხსნა და თვითმცლელების საშუალებით ნაგავ საყრელზე გატანა;
- სახურავის ხის კონსტრუქციის დაშლა; სხვენის იატაკის დაშლა +6.90მ ნიშნულზე;
- ყველა სართულზე კარ-ფანჯრების ამოღება;
- მეორე სართულის კედლების და კიბის უჯრედის დემონტაჟი, ნიშნული +3.3მ; დემონტაჟი განხორციელდეს ეზოს მხარის მიმართულებით;
- სართულშუა გადახურვის დემონტაჟი ნიშნული +3.3მ;
- პირველი სართულის კედლების და კიბის უჯრედის დემონტაჟი, ნიშნული +0.00მ; დემონტაჟი განხორციელდეს ეზოს მხარის მიმართულებით;
- სართულშუა გადახურვის დემონტაჟი ნიშნული +0.00მ;
- ნახევარ სარდაფის სართულის კედლების და კიბის უჯრედის დემონტაჟი, ნიშნული -3.00 მ; დემონტაჟი განხორციელდეს ეზოს მხარის მიმართულებით;
- კიბის უჯრედის სრული დემონტაჟი;
- გრუნტის დამუშავება;
- საძირკვლის დანგრევა და ტერიტორიის გასუფთავება;
- სამშენებლო ნაგვის გატანა;
- ტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა.

დემონტაჟის პროცესის პარალელურად, სინქრონულად უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს დაშლილი საშენებლო კონსტრუქციების დასაწყობება სპეციალურად მოწყობილ უბნებზე და მათი გატანა სამშენებლო მოედნიდან. დაშლილი კონსტრუქციების ან მასალების ჩამოყრა და დაგროვება სართულების გადახურვებზე დაუშვებელია. კონსტრუქციების დაშლის პარალელურად უწყვეტად უნდა მოხდეს მათი გატანა (იხ. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი).

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების ნორმების და სახელმწიფო სამშენებლო რეგლამენტების მკაცრი დაცვით, რაც უზრუნველყოფს მიმდებარე ნაგებობებზე, კომუნიკაციებზე და

გარემოზე სადემონტაჟო სამუშაოების ზეგავლენის მინიმიზაციას. მიმდებარე ნაგებობების და კომუნიკაციების მდგრადობას და მათ უსაფრთხო ექსპლოატაციას.

უსაფრთხოების მიზნით დემონტაჟის პროცესის ყველა ეტაპზე მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, როგორც სადემონტაჟო ასევე მიმდებარე ნაგებობების და კომუნიკაციების მდგომარეობის მუდმივი მონტორინგი. სამსართულიანი შენობის 03(2) დემონტაჟის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადემონტაჟო შენობაზე მოშენებული და მომიჯნავე ნაგებობების მდგრადობას. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების გამაგრება.

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში ასევე გათვალისწინებულია ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში შრომის უსაფრთხო პირობების და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად (იხ. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი).

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის სრული დემონტაჟის პროცესი უნდა განხორციელდეს სამშენებლო ნორმატიული დოკუმენტების და ტექნიკური რეგლამენტების [14, 15, 16, 17]-ის ძირითადი დებულებების და მოთხოვნების სრული დაცვით.

ამასთანავე მკაცრად უნდა იქნას დაცული ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები და წესები . ასევე აუცილებელია გარემოს დაბინძურებისაგან დამცავი ღონისძიებების გატარება (იხ. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი).

დოპ-ის მიხედვით სამშენებო ორგანიზაცია ვალდებულია დამკვეთისგან მიღებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაამუშაოს დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების პროექტი, რომელიც შესრულებული იქნება სამშენებლო ნორმატიული დოკუმენტების და ტექნიკური რეგლამენტების [12, 13, 14, 15, 16, 17, 18]-ის დაცვით. დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების პროექტს ამტკიცებს დამკვეთი და საპროექტო ორგანიზაცია.

დამკვეთი იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ სადემონტაჟო სამუშაოები გავლენას არ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე და მათ უსაფრთხო ექსპლოატაციაზე.

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის შესწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ის შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების სრული დაცვით. დოპ-ის მიხედვით უშუალოდ ობიექტზე დაშლითი სამუშაოების თანმიმდევრობა სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია და შერჩეული მანქანა-მექანიზმები სრულყოფილად იძლევა საშუალებას პროექტით გათვალისწინებული ნაგებობების დემონტაჟის პროცესი განხორციელდეს მეზობელ ნაგებობებზე მინიმიზირებული ზეგავლენის პირობებში.

6. დასკვნა

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №27-ში (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული 03(2) შენობის დაშლის ორგანიზაციის პროექტის და ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, ისინი შესრულებულია საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმების და ტენიკური რეგლამენტების სრული დაცვით. შესაბამისად აღნიშნული შენობის დაშლა უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების (ნაგებობა №1, 2, 3, 4) მდგრადობაზე.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა მოხდეს, როგორც მშენებარე, ასევე მიმდებარე ნაგებობების მონიტორინგი. მშენებლობის პროცესში მიმდებარე ნაგებობებზე ბზარების ან სხვა რაიმე დაზიანებების წარმოქმნის ან პროგრესირების შემთხვევაში აუცილებელია გატარდეს შესაბამისი სპეციალური ღონისძიებები.

(იხილეთ კვლევითი ნაწილი)

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორ(ებ)ი: დ.ღონღაძე

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი: მ. მუხიგულიშვილი

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: ზ. გუბელიძე

დანართი 1



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6



სურათი 7



სურათი 8



სურათი 9



სურათი 10



სურათი 11



სურათი 12



სურათი 13



სურათი 14



სურათი15



სურათი 16



სურათი 17



სურათი 18



სურათი 19



სურათი 20



სურათი 21



სურათი 22



სურათი 23



სურათი 24



სურათი 25



სურათი 26



სურათი 27



სურათი 28



სურათი 29



სურათი 30